

ინვესტიციები და ინოვაციები

ინვესტიციები როგორც ჩაგითხვის სრულურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ფაქტორი

რეზიუმე

არსებული რეგიონთაშორისი დისპროპორ-
ციები გლობალურ მსოფლიო სისტემაში გა-
ნაპირობებენ საქართველოს რეგიონების ინო-
ვაციური განვითარების დონის დიაგნოსტიკის,
ინოვაციური განვითარების სტრატეგიების ჩამ-
ოყალიბებისა და რეალიზაციის მექანიზმების
სრულყოფის პრინციპულად ახალი ინსტრუმენ-
ტარიუმის შემუშავების ამოცანის გადაჭრას.

გამოვლინდა, რომ ზოგადად საქართველის
ეკონომიკა და რეგიონული საწარმოთა განვითა-
რების პერსპექტივები დაკავშირებულია მექ-
ვსე ტექნოლოგიური თაობის განვითარების
ფარგლებში; წარმოდგენილია სამეცნიერო-ტექ-
ნიკური პროგრესის პროგნოზული ტენდენციები.

თანამედროვე სამყაროში, გლობალურ
მსოფლიო სისტემაში სამამულო პროდუქცი-
ოსა და სახელმწიფოს ეკონომიკის კონკურენ-
ტურარიანობის ხარისხს სწორედ ინოვაციები
განსაზღვრავენ. რეგიონებში მცირე ინოვაციური
საწარმოებისა და სტარტაპების ჩამოყალიბები-
სა და ფუნქციონირების ინსტიტუციონალური
პირობების განვითარებასთან დაკავშირებით
რეგიონული დონისძიებების პროგრამის რეალ-
იზაციის ეფექტიანობის ასამაღლებლად რეგიო-
ნულ დონეებზე უნდა დაინერგოს ინოვაციური
საქმიანობის სტიმულირების პროცესის სახელ-
მწიფო მართვა, რომელიც უბიძებს რეგიონის
მეწარმეებს მომსახურებისა და პროდუქტებით
ადგილობრივი მომწოდებლების მოძიებისკენ.

ამასთან დაკავშირებით, ძალზე აქტუა-
ლურია მოცემულ სტატიაში დასახელებული
თემატიკა, რომელიც ეხება საქართველოს რე-
გიონებში მცირე ინოვაციური საწარმოების
ქსელის შექმნას და ინოვაციური აღწარმოების
უზრუნველყოფას სახელმწიფო ინოვაციური
პოლიტიკის პროგრამის რეალიზაციის ფარ-
გლებში. ინოვაციური განვითარება ნებისმიერ
ქვეყანაში საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან
მხარდაჭერას. ხშირად, რეგიონის ინოვაციური
განვითარება ნელი ტემპით და არაეფექტურად

გახტანდ დათაშვილი

სტუ-ს პროფესორი

ინაკლი ზარჩუა
სტუ-ს დოქტორანტი

მიმდინარეობს სტრატეგიული მიზნების მიღწ-
ევის არასწორად აგებული მექანიზმის გამო.

საკანონო სიტყვები; ინვესტიციები, ინო-
ვაციები, ეკონომიკური ეფექტიანობა, რეგიონის
ინოვაციური განვითარება, რეგიონთაშორისი,
ტექნოლოგიური, მეცნიერულ-ტექნიკური პრო-
გრესი. წარმოება.

პირითაღი ნაწილი

ქვეყნის ინოვაციური განვითარების სტრატ-
ეგიების სრულყოფის ძირითადი მიმართულე-
ბები ნაკარნახევია სახელმწიფო ორგანოების
მზაობით, რათა არა მხოლოდ სიტყვით მისცენ
რეგიონებს ინოვაციური განვითარების სცე-
ნარის არჩევანის საშუალება, არამედ შექმნან
ხელსაყრელი პირობები მისი განხორციელები-
სთვის. იგი დაკავშირებულია ინოვაციური გან-
ვითარების რეგიონული სტრატეგიების რეალ-
იზაციასთან.

რეგიონის ინოვაციურობა წარმოადგენს
მისი თვითგანახლების, ცვლილებებისადმი
შეგუების უნარს და სამეცნიერო-ტექნიკური
პროგრესის პროდუქტების გენერირების შესა-
ძლებლობას. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენ-
ებს, რომ რეგიონის მდგრადი განვითარება
და მისი კონკურენტურიანობის შენარჩუნება
გრძელვადიან პერსპექტივაში დამოკიდებულია
არა მდგრად რესურსულ პოტენციალზე, რამ-
დენადაც ინოვაციებზე, მაშინ, როცა ინოვაცი-
ური საქმიანობა ქვეყნების მიხედვით შეიძლება
სხვადასხვა იყოს განსხვავებული ფაქტორების
ზემოქმედებით. კერძოდ: ეკონომიკის წამყვანი
დარგების, ინსტიტუციონალური პირობების,
ეროვნული განვითარების პრიორიტეტების,
ქვეყნის ან რეგიონის გეოგრაფიული და კულ-
ტურული თავისებურებების და ა.შ. მიხედვით.

ამრიგად, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამჟა-

ვახტან დათაშვილი, ი. ზარეუა

მად ეკონომიკური ზრდა ეფუძნება ინოვაციურ განვითარებას, რომელიც ამასთანავე მოიცავს ცოდნის დაგროვების პროცესის მართვას, რაც ხორცს ისხამს ახალ პროგრესულ ტექნოლოგიურ და მმართველობით გადაწყვეტილებებში.

სახელმწიფოს ინოვაციური განვითარება თანამედროვე სამყაროში ნებისმიერი ქვეყნის მთავრობის პრიორიტეტული ამოცანაა. სამწუხაროდ, საქართველოში, რეგიონული პროგრამების რეალიზაციისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი წლიდან წლამდე ვერ წყვეტს რეგიონული ინოვაციური გარემოს განვითარების არასაკმარისი ტემპის დაძლევის პრობლემებს.

რეგიონული სამრეწველო კომპლექსებისა და რეგიონული ინოვაციური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში აუცილებელია რეგიონული საწარმოების ინოვაციური განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება.

წინამდებარე სტატიაში რეგიონულ სამრეწველო კომპლექსში მოიაზრება ერთი რეგიონის ტერიტორიაზე განთავსებული ვერტიკალური და პორიზონტალური სამრეწველო კლასტერებისა და სხვადასხვა დარგის ცალკეული საწარმოების ერთობლიობა, რომლებიც იყენებენ რეგიონულ ინფრასტრუქტურას თუ რესურსებს და აერთიანებთ საერთო ლოჯისტიკური, მატერიალური, ფინანსური, საინფორმაციო და სერვისული ნაკადები.


რეგიონული ეკონომიკური კომპლექსის პროგრამულ-მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში, ეკონომიკური შეზღუდვების რეჟიმში საწარმოთა ტიპურ ძირითად მიზანს წარმოადგენს საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და კვალიფიციური მუშახლის შენარჩუნება, წარმოების ტექნიკური დონის დაცვა მკვეთრი შემცირებისგან. ეკონომიკური დაქვეითების პერიოდში ფუნქციონირების ძირითადი მაჩვენებლებია: ბრძოლა გადარჩენისათვის, რომელიც გულისხმობს არსებული პოტენციალის გამოყენებას: გამოშვების შემცირება; ორმხრივი გადაუხდელობა; შენობის არენდით გაცემა; საწარმოს სარეზერვო ფონდიდან ნედლეულისა და მასალების გაყიდვა და ა.შ.; მმართველობითი გადაწყვეტილებები გათვლილია მოკლევადიან პერიოდზე.

ამავე პერიოდში ძლიერდება საბაზრო ტიპის ფირმებად საწარმოთა ტრანსფორმაციის

შიდა პროცესები. კოლექტივებში შეინიშნება სოციალური დაბატულობის ზრდა. სახელმწიფომ კერძო საწარმოებს მიანიჭა პრივატიზების უფლება .

პირველი პოზიცია დაიკავა გარე გარემოს მოთხოვნებმა: საკუთარი პოზიციების შენარჩუნება ბაზარზე, შემოსავლების, გადახდისუნარიანობის შენარჩუნება. ინოვაციური განვითარება შეიძლება ეწოდოს ცვლილებათა მართვად პროცესს რეგიონისა და მუნიციპალური წარმონაშენების ცხოველებების ყველა სფეროში, რომელშიც შედის მეცნიერებატევადი დარგების განვითარება, ინოვაციების შემუშავება და დანერგვა, გამოყენებული ტექნოლოგიების მოდერნიზაცია. მომავალი ტენდენციების პროგნოზების საფუძვლად დაკლი ტენდენციების გამოყენების პროცედურა ეკონომიკის, ტექნოლოგიის, კონკურენციის და სხვ. გარემოცვაში შედგება შემდეგი რგოლებისგან: ა) საწარმოს ტენდენციების, მომგებიანობის ცვლილების განსაზღვრა მისი პროგნოზირებადი ეფექტუანობიდან გამომდინარე; ბ) გარეშე ფაქტორებისა და საწარმოს ეფექტიანობის მაჩვენებელთა ცვლილების ტემპების შედარება და მისი მიზნების განსაზღვრა; გ) მიზნების გადაქცევა მოქმედებათა კოორდინირებულ პროგრამად საწარმოს სხვადასხვა ქვედანაყოფებისთვის. აღნიშნული პროგრამები შეიცავს დონისძებათა გრაფიკებს, საკონტროლო ვადებს, ვერტიკალური და პორიზონტალური მართვის დონეების დაკავშირების ინსტრუმენტარიუმს. რეგიონულ სამრეწველო კომპლექსებში შემავალი საწარმოების განვითარების შესაძლო ნეგატიური ტენდენციები ეკონომიკური შეზღუდვების (სანქციების) პერიოდში, რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნეს გათვალისწინებული მმართველობითი გადაწყვეტილებების სისტემის აგებისას, გახლავთ: წარმოების დესპეციალიზაცია, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის საწარმოებში, წარმოების ტექნიკური დონის ზრდის ტემპების, პროდუქციის ხარისხის დაქვეითება, ასევე წარმოებრივი დისციპლინის მოშლა წარმოების პროცესის შეჩერების გამო, მოწყობილობების ცვეთა და მუშახლის კვალიფიკაციის დაქვეითება. საქართველოს საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის/გაწეული მომსახურებების სტრუქტურირებული მოცულობა 2018-2019 წწ. წარმოდგენილია ნახ.1.

ინკასტიციები და ინოვაციები



ნახ. 1. დარგების სტრუქტურა რაოდენობითი გამოხატულებით, 2017, %.

1993-2000 წლებში საქართველოს საწარმოების ქცევების შესწავლის მიზნით საქართველოს მეცნიერებათა ოკადემიის განხორციელებული კვლევების შედეგებმა გვიჩვენა, რომ საწარმოებში მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისას არ განიხილებოდა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, კონკურენტუნარიანობის, რესურსდაზოგვის, დაგეგმვის სრულყოფის, წარმოებრივი პროცესების ეფექტიანი ორგანიზაციისა და აგრომატიზაციის, შრომის ტექნიკური გადაიარაღების და ა.შ. ფაქტორები. წინა წლების გამოცდილება უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული იმ შემთხვევაში, როცა გამოყენებულ დაგეგმვას არ მოჰქონდა რეალური სარგებელი მმართველობითი გადაწყვეტილებების შიდებისას, პირიქით, ხელს უშლიდა საწარმოს მიზნების შემოქმედებითად განხორციელებას, ძლიერდებოდა ნეგატიური გავლენა მეტწილად მოკლევადიანი პერიოდისათვის გადაწყვეტილებების შიდებისა და მმართველობით ციკლში ტექნოლოგიური გარღვევების გამო; ხელმძღვანელობის ხელში დღემდე არსებული უფლებამოსილებების მაღალი კონცენტრაცია არ უნდა ერწყმოდეს ამჟამად გრძელვადიანი სტრატეგიის არარსებობას, მენეჯერებისა და მესაკუთრეების კონფლიქტს, თანამშრომელთა უნიციატივობას.

საჭირო გახდა ახლებური მიდგომების ძიება დაგეგმვისა და მართვისადმი. რეგიონული სამრეწველო კომპლექსების საწარმოთა ფუნქციონირების თანამედროვე პირობები მოითხოვს დაგეგმვისა და მართვის არსებული სისტემის შეცვლას: სამრეწველო საწარმოებში გამოყენებული სისტემის ნაკლოვანებების გამოვლენას, რომელთაგან უმთავრესია მომავალ განვითარებაზე ადრინდელი კანონზომიერებებისა და ტენდენციების გადატანის მცდელობა.

ეკონომიკური პირობებში რსკ საწარმოთა ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: პროდუქციის გატანა ახალ ბაზრებზე; გასაღების, რეკლამისა და მყიდვებზე სხვაგვარი ზემოქმედების ორგანიზაციის ახალი მეთოდების შემოღება. ჩვეულებრივ, საწარმოს წარმატება დაკავშირებულია მის უნართან - მიიღოს მაქსიმალური სარგებელი არსებული შესაძლებლობებიდან. საწარმო იძულებულია პირველ რიგში იზრუნოს თავისი შიდაწარმოებრივი სისტემების მოქნილობასა და ადაპტურობაზე, რაც მას მისცემს შესაძლებლობას გამოავლინოს ახალი პრობლემები და მიიღოს ახალი გადაწყვეტილებები, არ შემოიფარგლოს უკვე მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლით.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის სისტემები

ვახტან დათაშვილი, ი. ზარეუა

ეფუძნება ახალი ამოცანების განკვრების პროგრესულ პრინციპს განვითარების სტრატეგიის შემუშავების გზით, საჭიროა სტრატეგიული მართვის არსებული სისტემების სრულყოფა მართვის რაციონალური მეთოდების დაგეგმვასა და შემუშავებაში პრობლემების გამოვლენის მეშვეობით.

პროექტირების ორგანიზაციული პროცესი გათვალისწინებულია მართვის რაციონალური მეთოდების სტრუქტურათა მოდელირებისთვის, სადაც აღნიშნული პროცესის ეტაპები ასრულებენ დამხმარე ფუნქციას ორგანიზაციული გადაწყვეტილებების ყველაზე შედეგიანი კრისის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობათა შესაფასებლად.

ჩვენ გამოვალინეთ, რომ რსკ საწარმოთა მართვის არსებულ სისტემას ეკონომიკური ეფექტიანი ფუნქციონირების საქმეში გააჩნია ნეგატიური ზემოქმედება შიდა და გარე გარემოზე, რაც ხელს უშლის წარმოებრივი საქმიანობის პერსპექტიულ განვითარებას კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის მოთხოვნილი დონის შესაბამისად. მსხვილი სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი შეიქმნა გეგმური ეკონომიკის პერიოდში და გააჩნია შეოთხე თაობის ტექნოლოგიური შეიარაღება (ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ძირითადი ფონდების მხოლოდ მცირე ნაწილი მიეკუთვნება, როგორც კვლევის შედეგად აღმოჩნდა, მესამე თაობის ტექნოლოგიებს). გარემო ფაქტორების ძირითად ნეგატიურ ზემოქმედებას შორის უნდა გამოვყოთ:

- ძირითადი ფონდების მორალური და ფიზიკური ცვეთა, მათში მოწყობილობების ასაკი აღემატება 20 წელს ან გასულია მათი ექსპლუატაციის ვადა;
- სამრეწველო საწარმოების მუშახელის მაღალი საშუალო ასაკი;
- ეკონომიკური პოლიტიკის წარმმართველი ხელმძღვანელების უმეტესობის არაპოველობითი გუნდების არასაკმარისობა საწარმოებში;
- პროდუქციის დამზადების მთლიანი ტექნოლოგიური ჯაჭვის ერთ საწარმოში შესრულების არსებული პრაქტიკა, რაც აქვეითებს ხარისხს, ზრდის ხარჯებს და გვართმევს რესურსებს ახალი პერსპექტიული პროექტებისთვის;

- სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის დონე მეცნიერებაზევად სამრეწველო საწარმოებში ხშირად არ შეესაბამება შესასრულებელი ამოცანების სირთულეს;
- შეინიშნება სამუშაო ადგილების ძალზე დაბალი ტექნოლოგიური შეიარაღება კომპიუტერული ტექნოლოგიების, მიკროელექტრონული ტექნოლოგიის, პროექტირების ავტომატიზაციისა და მაღალტექნოლოგიური ტექნიკის გამოცდის საშუალებებით;
- შეინიშნება სამრეწველო საწარმოების საშუალო რენტაბელობის შემცირება და სხვ.

რსკ რიგ საწარმოებში ასევე შეინიშნება მოუმზადებლობა ISO-9000 სტანდარტების შესაბამისად კომპიუტერული პროექტირების თანამედროვე ტექნოლოგიებზე გადასასვლელად. აღინიშნება როგორც მართვის ობიექტის, ასევე მისი მმართველი სისტემის ექსტრემალური მდგრმარეობა. ზოგიერთ საწარმოში არ ხდება წარმოების მართვის სისტემისა და ძირითადი საწარმოო ქვედანაყოფების სტრუქტურის ცვლილება დამკვეთრად მოთხოვნებიდან გამომდინარე, ან მათი დინამიკა უმნიშვნელოა. მართვის სისტემას რსკ უმრავლეს საწარმოებში ახასიათებს ავტორიტარული მართვა.

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში მართვის მდგრმარეობისა და მისი სრულყოფის პროცესის კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა დაგეხსაბუთებინა საქართველოს ეკონომიკური განვითარების აქტუალობა, რომელიც ეფუძნება რიგი კონკურენტული უპირატესობების შენარჩუნებას სამხედრო და სამოქალაქო პროდუქციის წარმოებაში, ასევე ახალ მსოფლიო სამეურნეო გაერთიანებებში ინტეგრირების შესაძლებლობას. იმავდროულად, შეინიშნება ინვაციური აქტიურობის დაკვეთება; ინვაციური ბაზრის ჩამოყალიბების პროცესი ჩამორჩება საქონლის მწარმოებლების მოთხოვნილებებს. საქართველოს ეკონომიკის ამგვარი მდგრმარეობა მოითხოვს არსებით ცვლილებებს. სტრატეგიული ინვაციურ და საინვესტიციო პროექტებს რეგიონებში, ძალზე ხშირად, მკაფიოდ გამოხატული დარგთაშორისი ერთიანი ხასიათი გააჩნია და მოიცავს მათი განხორციელების უზრუნველყოფა მთელ რიგ ასოცირებულ დარგებს რეგიონის ტერიტორიაზე. ამის შედეგია მრავალმატებითი გა-


ინვესტიციები და ინოვაციები

დიდება (ირიბი ზრდა) პირდაპირი ნამატის ზევით, სინერგეტიკული ეფექტის ხარჯზე. რეგიონების განვითარების დონის ანალიზისას უნდა დავ-ეყრდნოთ ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა: საწარმოთა საერთო რაოდენობა, მუშახელის რაოდენობა, ძირითად ფონდებში ინვესტიციების მოცულობა, ფინანსური რესურსების მთლიანი ბრუნვა კვლევის საგანთან მიმართებით და ა.შ.

ინოვაციური (საინვესტიციო) პროექტების ანალიზი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ეტაპზე, რომელიც ეყრდნობა პროექტის ფინანსური პარამეტრების შეფასებას მათი შესრულების დაგეგმილი პერიოდის ყოველ წელს, სარწმუნოდ ასახავს აღნიშნული პროექტების შედეგიანობას.

ამასთან, რეგიონულ დონეზე განვითარების სტრატეგიის შემუშავებისას საჭიროა შეფასდეს მათი გავლენა მთლიანად რეგიონის ტექნიკურ-ეკონომიკურ

დონეზე. აქედან გამომდინარე, ინოვაციური (საინვესტიციო) პროექტების რეალიზაციის შედეგები აისახება რეგიონული განვითარების პროექტების დანერგვისას შექმნილი მთლიანი რეგიონული პროდუქტის სტრუქტურაში (მრპ). ეს მოგვცემს შესაძლებლობას რეგიონულ კონტექსტში გავითვალისწინოთ სტანდარტული ფორმით მიკროეკონომიკური პროექტების პარამეტრები, რაც აუცილებელია საბიუჯეტო ასიგნებათა განთავსების ალტერნატიული ვარიანტების შედარებისა და კონკრეტული ინოვაციური პროექტის არჩევანის დასაბუთებისთვის რეგიონულ ეკონომიკაში ცალკე აღებული მნიშვნელოვანი ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგად რეგიონში სინერგეტიკული ეფექტის ჩამოყალიბების პროცედურა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით (ნახ. 2):



ნახ. 2. რეგიონში მსხვილი ინოვაციური პროექტის განხორციელების შედეგად მრპ ინტეგრალური ნამატის ფორმირება

ვახტან დათაშვილი, ი. ზარეუა

ინოვაციური (საინვესტიციო) პროექტების რეალიზაციის შედეგად მრავ პირდაპირი ნამატის (პირდაპირი ეკონომიკური ეფექტის) გაანგარიშების ზოგადეკონომიკური ინსტრუმენტარიუმი საკმაოდ დაწვრილებითაა შემუშავებული. მრავ პირდაპირი და ირიბი ზრდის ერთობლიობა გვაძლევს ინოვაციური პროექტის რეალიზაციიდან ინტეგრაციური ეკონომიკური ეფექტის ყველაზე ადეკვატურ შეფასებას. აღნიშნული შეფასება მოიცავს:

- ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ დარგთაშორის ურთიერთდამოკიდებულებებს რეგიონში წარმოებრივი პროცესების სუბიექტებს შორის;

- გარკვეული ეკონომიკური მაჩვენებლების (ხელფასის დონის, მოგების, გადასახდელების რეგიონული მაჩვენებლების) გარდაქმნის თავისებურებებს, პროდუქციის გამოშვების მოცულობის პარამეტრებს, რაც წარმოადგენს საბოლოო მოთხოვნის მნიშვნელოვან მდგრელს (შესაბამისად, მრავ მაჩვენებელსაც) მთლიანად რეგიონის ეკონომიკის მასშტაბით.

იმდენად, რამდენადაც ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეებს მატერიალური დანახარჯების და გამოშვებული პროდუქციის ღირებულების (შესაბამისი ხელფასის, ამორტიზაციის, მოგების, დღგ-ს ხვედრითი წილით) განსხვავებული სტრუქტურა გააჩნია, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ყოველი სახეობის გაფართოების ეკონომიკური ეფექტი იქმნება ყოველი დარგისთვის ცალ-ცალკე სხვადასხვა სპეციფიკურ საზღვრებში.

ამასთანავე, რეგიონული პროდუქტების საწარმოებლად მუდმივად საჭიროა სხვა რეგიონებიდან იმპორტირებული მასალების, ნახევარუბრიკატების და ა.შ. კონკრეტული რაოდენობა. აქედან გამომდინარე, გარკვეული პროდუქციის გამოშვების გადიდებას თან უნდა ახლდეს მისი წარმოებისთვის აუცილებელი მიწოდებების გადიდება. ყველა ეს ასექტი გათვალისწინებული უნდა იყოს მრავ ინტეგრაციური ნამატის სქემაში.

როგორც წესი, პირდაპირი ეკონომიკური ეფექტის აბსოლუტურ მნიშვნელობას განსაზღვრავს განსახილველი პროექტის მასშტაბი. იმავდროულად, ინტეგრაციური და პირდაპირი ეკონომიკური ეფექტის თანაფარდობა (ანუ მრავ ინტეგრაციური ნამატის მნიშვნელობა) ფარდობითი საზომია, რომელიც ახასიათებს რეგიო-

ნის ეკონომიკური სისტემის რეაქციას ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტული სახეობის ზრდაზე. აღნიშნული მაჩვენებელი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც რეგიონული ინოვაციური პროექტების ცხოვრებაში ხორცშესმის ეკონომიკური ეფექტიანობის აღეკვატური მაჩვენებელი.

გარე გარემოს მზარდი არასტაბილურობა, სულ უფრო როგორც სისტემების მართვა ახალი სანქციების პირობებში მოითხოვს საწარმოთა მართვის ადეკვატური სისტემების შემუშავებას. განვითარების კონცეფციის არჩევანს განსაზღვრავს გარემოს არასტაბილურობა, რომელშიც რსკ-ს საწარმო მოქმედებს ან აპირებს მოქმედებას.

სანამ შევეხებოდეთ საკითხს მომავალი სტრატეგიული მიზნებისა და მიმართულებების შესახებ, საჭიროა დაგაზუსტოთ, თუ რა ფაქტორები ახდენენ გავლენას მომავალზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებზე პროდუქციის ნომენკლატურასთან, პერსონალთან, სპეციალურ უნარებთან და ა.შ. დაკავშირებით, თუ ახალი ინტელექტუალური პროდუქცია ამჟამად არ იწარმოება, „შტატიანი“ პერსონალი მის გამოსაშვებად არ არის გათვალისწინებული და ა.შ. მითითებულ ფაქტორებთან მართვის სისტემის შეგუების უზრუნველსაყოფად საჭიროა რეგიონული სამრეწველო კომპლექსების საწარმოთა მართვის მექანიზმით თუ კვესისტემის: ადაპტურისა (ცვალებადი) და სტაციონარულის გამოვლენა.

ადაპტაცია (ლათ. შეგუება) - გახლავთ გარე გარემოსთან შიდასაფირმო მართვის სისტემის ურთიერთქმედების პროცესი, რომლის დროსაც თანხვდებილია მონაწილეობითა მოთხოვნები და მოლოდინები.

მოქნილი სისტემები წარმოადგენენ კიბერნეტიკული სისტემების კლასს დაგროვილი ცოდნის განზოგადებისა და გამოყენების განვითარებული საშუალებებით. მმართველობითი ზემოქმედებების ხასიათი ხდება სტრატეგიული მართვის სისტემის ადაპტაციის მეთოდოლოგიის კონცეპტუალურ დებულებათა სისტემა, რომელიც მიმართულია წარმოებრივი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისკენ

შეგუებითი (ადაპტური) ნაწილი (ვირტუალური ელემენტებით) იძლევა ინოვაციური პროცესის მონაწილეობა ურთიერთქმედების

ინცესტისიკი და ინრვალიკი

სტრუქტურისა და აღგორიტმის ცვლილების შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს გაუმჯობესების/გაუარესების, გარე გარემოს პირობების ცვლილების ან ახალი მიზნებისა და მოთხოვნების წამოყენებისას.

აუცილებელია ოქორიულ და მეთოდოლოგიურ კვლევებში წარმოების მართვის შემსწავლელი სამეცნიერო დარგების განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: წარმოების მიზნებისა და სტრატეგიების სისტემა; სერვისული მართვა წარმოებაში; საპროცესო მართვა; ადაპტაციური ცვლილებები სტრატეგიული მართვის სისტემებში, ორგანიზაციულ და წარმოებრივ სტრუქტურებში; საწარმოს კონკურენტუნარიანობა. ამჟამად არ არსებობს ეკონომიკური შეზღუდვების პირობებში რთული მეცნიერებატევადი პროდუქტისათვის, საწარმოში მარკეტინგის როლის ამაღლებისთვის გამოყენებითი მარკეტინგის მეთოდოლოგიის პრაქტიკული ხორცშესხმის რეალური მექანიზმები; იგნორირებულია სანქციების პირობებში საწარმოთა შორის რეალური კონკურენტული ბრძოლის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი თვისებები.

ეკონომიკური შეზღუდვების ახალ პირობებში გადაწყვეტილებების მიღებისას არ არის გათვალისწინებული: მეცნიერებატევად საწარმოებში მრავალი საწარმოო შესაძლებლობის განუსაზღვრელობა; საწარმოთა მხრიდან ინოვაციების აღქმის, საბაზო ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების უნარებს შორის განსხვავება; რეგიონული სამრეწველო კომპლექსის ცალქეულ საწარმოთა შიდა ბაზების კოცეპტი, როგორიცაა რეგიონული სამრეწველო კომპლექსში შემთხვევად გამაყოფილების განვითარებაზე მიმართულებით მოვლენათა განვითარებაზე გათვალისწინებული მართვის სისტემები ხშირად მოუმზადებელი ხვდება ახალ ეკონომიკური პირობებს როგორც რესურსების, ასევე საჭირო გადაწყვეტილებების მისაღები დროის მხრივ. აღნიშნული გადაწყვეტილებები ეფუძნება რსკ საწარმოების ადაპტაციას გარემოს ცვლილებებისადმი და ამ გარემოცვაზე ზემოქმედებას. იქმნება რსკ საწარმოს მიზნების შესაბამისად ახლებური დაგეგმვის აუცილებლობა, რომელიც მიმართული იქნება რეგიონულ სამრეწველო კომპლექსში სტრატეგიული პარტნიორების მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ. აღნიშნული პარტნიორობა ორიენტირებული უნდა იყოს რსკ ფინანსური მდგრადობის ამაღლებაზე მასში შემაგალ საწარმოთა მენეჯმენტის მმართველობითი გადაწყვეტილებების შეთანხმების მეშვეობით.

სისტემათა მდგომარეობის ანალიზი ადასტურებს სამრეწველო საწარმოების სტრატეგიული მართვის სისტემათა ადაპტაციის მეთოდოლოგიის შემუშავებისა და რეალიზაციის, ინფორმაციის ახალი კონცეფციის აქტუალობას, სადაც საწარმოო რესურსების უმეტესობა დასაქმებული იქნება ინფორმაციის სფეროში, რაც უზრუნველყოფს ტექნიკური ევოლუციის ჩატარებას „მონაცემთა დამუშავებიდან“ „ინფორმაციის დამუშავებამდე“, აამაღლებს მომსახურების დონეს წარმოებრივ საქმიანობაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთელ რიგ სამქროებში არსებული პოტენციალის გამოყენებაზე ორიენტირებული და მოსალოდნელი მიმართულებით მოვლენათა განვითარებაზე გათვალისწინებული მართვის სისტემები ხშირად მოუმზადებელი ხვდება ახალ ეკონომიკური პირობებს როგორც რესურსების, ასევე საჭირო გადაწყვეტილებების მისაღები დროის მხრივ. აღნიშნული გადაწყვეტილებები ეფუძნება რსკ საწარმოების ადაპტაციას გარემოს ცვლილებებისადმი და ამ გარემოცვაზე ზემოქმედებას. იქმნება რსკ საწარმოს მიზნების შესაბამისად ახლებური დაგეგმვის აუცილებლობა, რომელიც მიმართული იქნება რეგიონულ სამრეწველო კომპლექსში სტრატეგიული პარტნიორების მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ. აღნიშნული პარტნიორობა ორიენტირებული უნდა იყოს რსკ ფინანსური მდგრადობის ამაღლებაზე მასში შემაგალ საწარმოთა მენეჯმენტის მმართველობითი გადაწყვეტილებების შეთანხმების მეშვეობით.

ეკონომიკური სტრატეგიული მართვის სისტემის ადაპტაციის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების ანალიზი და შეფასებამ გვიჩვენა, რომ სამრეწველო წარმოების მართვისა და ორგანიზაციის საკითხებზე სამამულო სამეცნიერო-პრაქტიკულ პუბლიკაციებში ყველაზე მეტად დამუშავებული და მკაფიოდ ასახულია შემდეგი საკითხები:

- წარმოებრივი სისტემის სტრუქტურული მოდელი, მართვის სტრუქტურა და პროცესი, მართვის ობიექტი და სუბიექტი;

- წარმოების ტიპები, წარმოების ეტაპები;

- ორგანიზაციულ სტრუქტურებში მიმდინარე ადაპტაციური პროცესები; ზოგიერთი ადაპტაციური პროცესის აღწერა კომპიუტერუ-

ვახტანე ლათაშვილი, ი. ზარქუა

ლად მართვადი ავტომატიზებული წარმოების მაგალითზე, წარმოების ავტომატიზაცია, წარმოების მოქნილობა;

- წარმოების კომპლექსური ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა; ტექნიკური დავალება;

- წარმოების ორგანიზაციის ფორმის არჩევა; წარმოების ტიპის, ქვედანაყოფების შემადგენლობისა და მათი სპეციალიზაციის დასაბუთება, ქვედანაყოფების შემადგენლობის ფორმების დასაბუთება, წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურის აგება და დასაბუთება;

- ძირითადი წარმოებისა და მისი პროცესების; დამხმარე და მომსახურე წარმოების ორგანიზაცია;

- წარმოების ოპერატიული მართვა;
- პერსონალის შრომის ორგანიზაცია.
- ავტომატიზებული პროექტირების კონცეფცია „წარმოების ორგანიზაცია“.

რსკ სტრატეგიული მართვის განახორციელების წანამდღვრების შეფასება განპირობებულია ეკონომიკური სანქციების პირობებში მეურნეობრიობის შეცვლილი პირობებით. აღსანიშნავია, რომ, მთლიანობაში, ადაპტაციური მართვის სისტემის სრულყოფა იმყოფება მონიტორინგის მასალების დამუშავების, ტრადიციული მოდელის ცვლილების საჭირო მიმართულებების შესახებ თავდაპირველი წარმოდგენების სტადიაზე.

Innovations as a strategic factor in the socio-economic development of the regions

*Vakhtang Datashvili, professor of GTU
I. Zarkua, PhD student of GTU*

Summary

The existing inter-regional disparities in the global world system lead to diagnose the level of innovation development in Georgia's regions, develop innovative development strategies, and improve the implementation mechanisms. Developing new toolkit is needed for such diagnose.

Georgia's economy and regional enterprise development prospects have generally been linked to the development of the sixth generation of technology; Predictive trends of scientific-technical progress are presented.

In the modern world, in the global world system, the quality of domestic production and the competitiveness of the state's economy are precisely determined by innovations. In order to improve the effectiveness of the implementation of the regional action plan for the development of the institutional framework for the establishment and operation of small innovative enterprises and startups in the regions, state management of the process of stimulating innovation activities should be introduced at regional levels; which encourages local entrepreneurs to find local suppliers of services and products.

In this regard, the topic discussed in this chapter is the creation of a network of small innovative enterprises in the regions of Georgia and the provision of innovative production within the framework of the State Innovation Policy Program. Innovative development in any country needs state support. Often, innovation in the region is slow and ineffective due to a poorly constructed mechanism for achieving strategic goals.